პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი. № 105 (12019) | სამშაბათი, 9 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდი ეროვნული დღესასწაულის წინ

რით ეგებებით თქვენ იუბილესა?

★ ★

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს სახელოვან და ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავს და სამხრეთ ოსეთის ყველა მშრომელს უსურვებენ შემდგომ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვება სამხრეთ ოსეთის მშრომელებისათვის იყო ისტორიული ნიშანსვეტი, ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის, სოციალიზმის მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივები გადაუშალა მათ.

ქართველ ხალხთან ხელიხელჩაკიდებულმა, მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მხარდამხარ სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გახდა განვითარებული მრეწველობის, აყვავებული სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის მხარე. მიწისა და მისი წიაღის მთელი სიმდიდრე, რომლითაც ასე უხვად დაჯილდოვა ბუნებამ სამხრეთ ოსეთი, ახლა ხმარდება ხალხს, ემსახურება სამშობლოს. მუშათა კლასის თავდადებული შრომით სამხრეთ ოსეთში, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამდე არავითარი მრეწველობა არა ჰქონდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა სხვადასხვაგვარ სასარგებლო წიაღისეულთა დასამუშავებელი მძლავრი მექანიზებული საწარმოები, მანქანათსამშენებლო, ხისდასამუშავებელი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების ქარხნები და ფაბრიკები. აგებულია სარწყავი სისტემები, რომელთა მეოხებით დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი სტალინირი გახდა დიდი კულტურული ცენტრი, სადაც ამზადებენ კადრებს ეროვნული სკოლებისათვის, გაშლილია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელნი აქტიურად იღებენ მონაწილეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელნი პირნათლად შეასრულებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების დიდ ამოცანებს.

მხურვალე სალამი სამხრეთ ოსეთის მშრომელებს სახელოვანი იუბილეს დღეს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას — საბჭოთა სახელმწიფოს ძალის, ძლიერებისა და უძლეველობის წყაროს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და დამრაზმავ ძალას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო შვიდწლედის მესამე წელი. სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში განმავლობაში აითვისა და გამოუშვა 12 ახალი სახის შალის ქსოვილები.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. **კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 5 მაისისათვის საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 106,4 პროცენტით შეასრულეს.** სიმინდის თესვის გეგმა **შესრულებულია 100,9 პროცენტით,** კარტოფილისა — **102 პროცენტით.**

გასულ წელთან შედარებით სიმინდი სამარცვლად დათესილია 860 ჰექტარით მეტი.

უპატაკეებენ შესრულებას

ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. აქ პირველად დაიწყო მილდასამუშავებელი მძიმე ჩარხების წარმოება. თვითეულ მათგანს შეუძლია ერთ საათში დამუშავოს 1000-მდე მილი და შეცვალოს ნაკადურ ხაზში სამი ჩვეულებრივი ჩარხი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. მაუღის ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა 4 თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი მეტრი შალის ქსოვილი. საწარმოს კოლექტივმა ერთი წლის

ᲚᲐᲩᲘᲜᲘ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რა სიმინდის თესვას, კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თესვის გეგმა. 4.900-ის ნაცვლად დათესეს 4.920 ჰექტარი სიმინდი.

თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის, ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის და დოესის კოლმეურნეობებმა.

გეგმის გადამეტებით სიმინდის თესვა გრძელდება.

გუშინ მინდვრებსა და კლანტაციებში

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დათესილია 1.635 ჰექტარით მეტი სიმინდი. სიმინდის თესვაში დაწინაურდა სოფელ ერედვის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **გიორგი ვახტანგაშვილი.** მან ერთ დღეს 12 ჰექტარის ნაცვლად დათესა 18 ჰექტარი სიმინდი.

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. ლაითურისა და ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა ჩაის კრეფა. ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სულ მოკრეფილია ოთხ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. თავი ისახელეს მუშებმა **მარიამ ლობაჩენკომ, სულიკო სირაძემ, ევგენია გელბახიამ,** რომლებმაც მოკრიფეს 25-30 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 130-140 პროცენტით გაანაღდეს.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრეზიდიუმის

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პიენიშოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **აბაშიძეს** ასიე ნურის ასულს — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

2. **ᲛᲐᲮᲐᲜᲝᲕᲐᲡ** ასილი ალი ყიზის — „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოლნისის რაიონი.

3. **ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲫᲔᲡ** ფადიმე ფოლადის ასულს — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. ᲑᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წ. 5 მაისი.

მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი ერევანში



1961 წლის 7 მაისი. ერევნის რესპუბლიკური სტადიონი. მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, დეპეშათა სააგენტოს ფოტოქრონიკა).

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 7 მაისი, (საკდესი). სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით დღეს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენცია. ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. დ. არომელაძემ.

დ. სეფიაშვილის წარმატება

ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. („კომუნისტის“ სპეცკორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორემ დავით სეფიაშვილმა შარშან ვადაზე ადრე შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, გაასუქა და სახელმწიფოს მიჰყიდა 1.005 ღორი 905 ცენტნერი საერთო წონით.

დავით სეფიაშვილმა დიადი შვიდწლედის მესამე წელს იკისრა 1.600 ღორის გასუქება და ჩვეული მონდომებით შეუდგა პირობის შესრულებას. წელს **სამ თვეში გაასუქა 537 ღორი და სახელმწიფოს 460 ცენტნერი ხორცი მიჰყიდა.** ახლა ასუქებს 450 სულს.

მეღორეობის ფერმის გამგემ დ. ბოსტოღანაშვილმა გადაწყვიტა ფერმიდან მიღებული ნამატით წელს დამატებით გასუქოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 400 სული ღორი.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1961 წლის 9 მაისი **№ 90** ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ პიტლერულ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების მეთექვსმეტე წლისთავს.

საბჭოთა კავშირმა თავის ᲗᲮᲠᲔᲑᲖᲔ გადაიტანა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე და გადამწყვეტი როლი შეასრულა მტრის გახადგურებაში. ჩვენი ხალხის გმირობა, რომელიც მან მოაბდინა დიდი სამამულო ომის წლებში, სამუდამოდ შევა ოქროს ფურცლად მშრომელთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის სახელოვან მატიანეში.

მივესალმები და მივულოცავ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს გამარჯვების დღესასწაულს.

ᲒᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ: დღეს, 9 მაისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალვით.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს საბჭოთა ნაღრს დ. მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.

ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ფაშიზმისაგან გერმანიის განთავისუფლების მე-16 წლისთავის გამო ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოტო გროტევოლის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის იოანეს დიკმანის, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ერიხ კორნსის სახელზე გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამია:

დღეს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღეს, საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებმაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი არიან იმათ პირველ რიგებში, ვინც იბრძვის დასავლეთ გერმანიაში აღორძინებული მილიტარიზმის წინააღმდეგ, მთელი გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისათვის.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავენ, რომ თექვსმეტი ომისშემდგომი წელი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებისათვის იყო მზარდი მეგობრობისა და კეთილნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის წლები. ეს მეგობრობა, რომელიც ჩვენი ქვეყნების ისტორიული მონაპოვარია, ახლა გადაიქცა ევროპის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელნი თავიანთ მისალმებაში ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევისადმი ფაშისტური ბარბაროსობისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების მე-16 წლისთავთან დაკავშირებით გმირ საბჭოთა ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისა და გერმანელი ხალხის მშვიდობიმოყვარე, პროგრესული ძალების სახელით უთვლიან უგულითადეს სალამსა და მადლობას. ისინი აცხადებენ, რომ სსრ კავშირის მოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში გერმანელი ერის დემოკრატიულ და მშვიდობიმოყვარე ძალებსაც მისცა შესაძლებლობა პირველად გერმანელი ხალხის ისტორიაში; მშვიდობისა და ნამდვილი თავისუფლების პირობებში აშენონ ახალი, უკეთესი ცხოვრება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს მიაჩნიათ, რომ მათი უმნიშვნელოვანესი წვლილი მშვიდობის უზრუნველყოფაში არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაძლიერება და გერმანელი მილიტარიზმის ალაგმვა, რომელიც უბულებელყოფს ისტორიის გაკვეთილებს და ცდილობს თავს დაატეხოს გერმანელ ხალხს კიდევ უფრო საშინელი კატასტროფა, ვიდრე 1945 წლის კატასტროფა იყო.

შემდეგ მისალმებაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი დაუცხრომლად განამტკიცებენ ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა ხალხთან და არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ამოცანები, რომელნიც დაკისრებული აქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას როგორც სოციალიზმის ფორპოსტს დასავლეთ ევროპაში, როგორც გერმანელი ხალხის მშვიდობიმოყვარულ მისწრაფებათა ბეშმარიტ მაუწყებელს.

რუმინეთის მუშათა პარტიის სახელოვანი მე-40 წლისთავი

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა მისალმებით, რომელშიც ყველა კომუნისტისა და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ულოცავს რუმინეთის მუშათა პარტიის წევრებსა და მოძმე რუმინელ ხალხს რუმინეთის მუშათა პარტიის მე-40 წლისთავს.

მისალმებაში ნათქვამია, რომ რუმინეთის მუშათა პარტიას წარმატებით მიჰყავს რუმინელი ხალხი სოციალიზმის გზით, შემოქმედებითად იყენებს სოციალისტური მშენებლობის ზოგად პრინციპებს თავის ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, ამ გზაზე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კულტურული რევოლუციის განხორციელებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. იზრდება და მტკიცდება რუმინელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რუმინეთის მუშათა პარტიას მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს ზრდის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

(საკდესი).

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მშრომელთა მრავალათასიანი მიჯინგი ერევანში

(დასასრული)

ლური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. დამსწრენი კვლავ მქუხარე ტაშით მიესალმნენ მას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულთბილად მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს დიდი დღესასწაული — სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებებზე, რაც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც განუხრელად ახორციელებს დიდი ლენინის ანდერძს, კომუნიზმის მშენებლობის სწორი გზით, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის გზით მიჰყავს ჩვენი ხალხი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ სომხეთის მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიქვთ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გამარჯვებანი და მონაპოვარნი შესაძლებელი გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ძმური ურთიერთობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი მათი ერთგულების მეოხებით.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიწონა რესპუბლიკის მშრომელებს არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, განუხრელად გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, უკეთ გამოიყენონ თავიანთი რეზერვები და მესაძლებლობანი, აწარმოონ უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია, პური, ხორცი, რძე, ამრავლონ მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი, რათა რაც შეიძლება სწრაფად ავაშენოთ ყველაზე ნათელი საზოგადოება დედამიწაზე.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის და უსურვა მშრომელებს ახალი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

თავისი მკაფიო სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეგრძელობა უსურვა სომეხ ხალხს, სსრ კავშირის ხალხებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მიჰყავს საბჭოთა ხალხები მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დიდხანს გაისმის ტაშის გრიალი, რომელიც მთელ სტადიონს მოედო.

მიტინგი დამთავრდა. სტადიონის მოედანზე გამოვიდნენ ფიზკულტურელები. დაიწყო სპორტული ზეიმი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესტუმრა პიროვის სახელობის ქარხნის მუშაკებს

ერევანი, 7 მაისი. (საკუთარი). დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ახლდნენ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ქოჩინიანი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. მ. არუშანიანი, ეწვია სომხეთის მძიმე მრეწველობის პირმშოს — ს. მ. კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხანას.

აქვე მოვიდნენ ზეიმის მონაწილე მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციების მეთაურები.

დიდი ქიმიის გიგანტის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი სიხარულით, გულთბილად შეხვდა ძვირფას სტუმარს. საზეიმოდ მორთულია უზარმაზარ საამქროთა მწვანეში ჩაფლული კორპუსები. შესასვლელთან, სადაც მანქანები შეჩერდნენ, ცენტრალურ ხეივანში გადაჭიმულია უზარმაზარი წითელი ქსოვილი, რომელსაც აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა კლარა ვასილიანმა და სუსანა საიდიანმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს ნიკიტა სერგოს-ძეს. კვლავ გაისმის ტაში და მისალმების შეძახილები.

ქარხნის დირექტორმა ს. ლ. თუმანიანმა დაწერილებით გააცნო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს საწარმოს ისტორია, უამბო სინთეზური კაუჩუკის წარმოების ტექნოლოგიაზე, ახალ სახეობათა პროდუქციაზე, რომლებიც საწარმომ აითვისა, ქარხნის განვითარების პერსპექტივებზე. საწარმო ახლა იყენებს ბუნებრივ სათბობს — გაზს, რომელსაც რესპუბლიკა მოძმე აზერბაიჯანიდან იღებს. ბუნებრივ გაზს მალე გამოიყენებენ კაუჩუკის მისაღებადაც.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა, ხომ არ იმოქმედებს ბუნებრივი გაზის გამოყენება საწარმოს პროდუქციის ხარისხზე.

როგორც ქარხნის დირექტორმა უპასუხა, ექსპერიმენტალმა მონაცემებმა ცხადყო, რომ პროდუქციის ხარისხი კიდევ გაუჯობესდება, მისი თვითღირებულება კი ორჯერ და მეტად შემცირდება.

ჩრდილოეთი ხეივნებში რომ გაიარა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიწონა საწარმოს შუაკთა კეთილშობილური ღონისძიებანი, რომლებმაც მშვენიერ, აყვავებულ ბაღად გადაქციეს ქარხნის ტერიტორია, მას უთხრეს, რომ აქ ბევრია ხეხილი, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

— ეს ძალიან კარგია, — შენიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საამქროებისაკენ მიმავალ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებოდა ქარხნის ასობით მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე.

სტუმრები გაეცნენ ვინილაცეტილენის წარმოებას, რომელიც შუალედური პროდუქტია სინთეზური კაუჩუკის მისაღებად. შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ სხვა საამქროს, სადაც მთავრდება სინთეზური კაუჩუკის მიღების ტექნოლოგიური პროცესი. აქ ნიკიტა სერგეს-ძემ მაგრად ჩამოართვა ხელი აგრეგატთან მდგომ ჩამოორთვა ბრიგადირს ავეტიკ ზიროიანს. ძვირფას სტუმარს უჩვენეს ჯერ კიდევ ცხელი, ვალცდან ეს-ეს არის გამოსული ნაირიტი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დიდხანს თვალიერებდა სტენდებს, სადაც წარმოდგენილია ქარხანაში გამოშვებული სინთეზური კაუჩუკის ნიმუშები; აგრეთვე ზოგიერთი ნაწარმი, რომლებსაც მათგან იღებენ.

ქარხნიდან წასვლისას ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოეთხოვა მუშებს და უსურვა მათ წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა საზღვარგარეთელ სომეხთა ჯგუფს

ერევანი, 7 მაისი. (საკუთარი). რესპუბლიკის დედაქალაქში გრძელდება სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ღღეს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ სომეხთა ჯგუფი, რომლებიც აქ ზეიმზე იმყოფებიან.

საუბარს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბრაზილიის, არგენტინის, რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების სომეხთა კოლონიების წარმომადგენლები. ა. ფეიირმენჯიანმა (არგენტინის საზოგადო მოღვაწე), ზ. ხანდაღიანმა (კარტოგრაფი, საფრანგეთი), კ. ბრლაკიანმა (ბრაზილიის პარლამენტის წევრი), ა. ზარდარიანმა (ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწე), ა. ჯერეჯიანმა, ა. ბერბერიანმა, ო. ალბაშიანმა (ლბანანის საზოგადო მოღვაწენი), რ. მეხიანმა (ხელოვნების მცოდნე, არგენტინა) თავიანთ გამოსვლებში გულითადი მადლობა გადაიხადეს ამისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ დასწრებოდნენ ამ ზეიმს და შეხვედროდნენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

საზღვარგარეთელ სომეხთა წარმომადგენლებმა აღტაცებით ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე, რაც რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა გარდაქმნებმა გამოიწვია. ისინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ეს უდიდესი წარმატებანი სომეხმა ხალხმა მოიპოვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეოხებით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, პოლიტიკისა, რომელმაც ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა სსრ კავშირის ხალხები.

სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მან უპასუხა შეკითხვებზე, რომლებიც მისცეს საუბრის მონაწილეებმა, უამბო მათ იმაზე, თუ როგორ გადაჭრა სოციალისტურმა სახელმწიფომ ეროვნული საკითხი, შექმნა ყველა პირობა ჩვენი ქვეყნის ბატარა და დიდი ხალხების განვითარებისათვის, მათი სახელმწიფოებრიობის განხორციელებისათვის.

საზღვარგარეთელმა სტუმრებმა ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობა გადაუხადეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვედრისა და საუბრისათვის, უსურვეს ჯანმრთელობა, წარმატებანი საბჭოთა ხალხს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, უომო ცხოვრებისათვის, მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

საუბარს დაესწრნენ სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ქოჩინიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. მ. არუშანიანი.

დარგაზოგა სომხეთის 40 წლისთავის აღსანიშნავად

ერევანი, 7 მაისი. (საკუთარი). დღეს საღამოს სომხეთის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამართეს დარბაზობა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ი. კუბეავა, ი. გ. როველიაშვილმა, გ. ი. ჩოგოვაძემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ი. მაკაროვმა.

მოხსენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუჯობესების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრმა ამხ. დ. მ. მამულაძემ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს შესყიდვის სარაიონთაშორისო (ახალციხე, ასპინძა, ადიგენი) სახელმწიფო ინსპექციის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ამხ. ლ. ახაკაძემ, წითელწყაროს რაიონის შესყიდვის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ამხ. გ. ნატროშვილმა. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის საოლქო სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა ამხ. გ. ტოტჩიევმა, სამგორის რაიონის შესყიდვის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ამხ. ვ. ხონელიძემ, გორის რაიონის შესყიდვის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ამხ. დ. ქინქლაძემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. მაკაროვმა, ეკაკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ცაგარეიშვილმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეფავნაძემ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ამხ. მეფავნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მიესალმა დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს და ესურვა მათ წარმატებანი დიამნიშვნელოვანი საქმის შესრულებაში, რომელიც მათ პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს.

შესყიდვის ინსპექციებმა, თქვა ამხ. ვ. პ. მეფავნაძემ, რომლებშიც შერჩეული არიან საუკეთესო სპეციალისტები — აგრონომები, ზოოტექნიკოსები და პრაქტიკოსები, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანები, რომლებსაც სოფლის მეურნეობისა და დამამზადებელ ორგანოებში ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება აქვთ, მთელი თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განუხრელი ზრდა. შესყიდვის ინსპექტორები მოვალენი არიან ხშირად იყვნენ მინდვრებში, პლანტაციებში, ბაღებში, ვენახებში, ფერმებში. მათ კარგად უნდა იცოდნენ, როგორია იქ საქმის ვითარება, გამონახონ მეურნეობის განვითარების შესაძლებლობანი და რეზერვები. ყველაფერი გააკეთონ ამ რეზერვების ამოქმედებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდისათვის. მათი მოვალეობაა გამოავლინონ ნაკლოვანებანი, ყოველივე ის, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოსავალზე და პირუტყვის პროდუქტიულობაზე, შეუძლია ხელი შეუშალოს შესყიდვის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებას. მათ რეკომენდაციები უნდა მისცენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა არ სწორდება, ისინი მოვალენი არიან აცნობონ ეს პარტიის რაიკომსა და საოლქო კომიტეტს, რაიაღმასკომსა და საოლქო აღმასკომს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

1961 წელი მეტად პასუხსაგები წელია შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წარმატებით შეეასრულოთ დიდი ვალდებულებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის, პირადად ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისათვის მიცემული სიტყვა.

ამხ. მეფავნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ დამამზადებელი ორგანოების მუშაკები მთელ ძალასა და ენერგიას მოახმარენ იმას, რომ უთუოდ შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები.

მივცეთ სამშობლოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეჯი პროდუქტები

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

4 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. პ. მეფავნაძემ, გ. ს. ძოწენიძემ, პ. ვ. კოვანოვმა, გ. ი. ქადაგიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ, მ. ი. კუპავამ, ი. გ. როველიაშვილმა, გ. ი. ჩოგოვაძემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ი. მაკაროვმა, ეკაკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ცაგარეიშვილმა.

მოხსენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუჯობესების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრმა ამხ. დ. მ. მამულაძემ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს: ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ბაღდათის, ზესტაფონის, ონის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ლაგოდეხის, ყვარელის, ბოლნის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქრონიკა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა

1. **აბესაძეს** ვკოლა კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეს

2. **აბესაძეს** სიმონ ალექსანდრეს-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ ბურღვის კანტორის მთავარ გეოლოგს

3. **აბრამაშვილს** გრიგოლ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

4. **აბრამიას** დომენტი გიორგის-ძეს — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის საამქროს უფროსს

5. **აბულაძეს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — ქუთაისის სამრეწველო კომბინატის მთავარ ინჟინერს

6. **აბულაძეს** დიმიტრი სარდიონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს

7. **ავალიანს** ავთანდილ დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს

8. **ავალიანს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

9. **ავალიშვილს** ნიკოლოზ გასილის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის საწარმოო კომბინატის უფროსს

10. **ავალიშვილს** პიროს ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური პარტიის უფროსს

11. **ავაქოვს** არკადი არკადის-ძეს — თბილისის საავეჯო ფაბრიკის მთავარ ინჟინერს

12. **ათაბეგოვას** სუსანა მელიქის ასულს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს განყოფილების უფროსს

13. **აივაზოვს** ლევონ ბეგლარის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორს

14. **აკიმენკოს** ბორის ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

15. **ალექსაშვილს** ტაბიანა ივანეს ასულს — თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის დირექტორს

16. **ალმამბარაშვილს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — საკავშირო საგზაო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილების ნაწილის უფროსს

17. **ამირეჯიბს** ირაკლი ალექსანდრეს-ძეს — საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“ თბილისის განყოფილების ინჟინერს

18. **ანდღულაძეს** გრიგოლ ფილიპეს-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროს ინჟინერს

19. **ანდღულაძეს** ქრისტეფორე იაგორის-ძეს — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანს

20. **ანდრონიკაშვილს** კომნენ იოსების-ძეს — საკავშირო საგზაო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ტექნიკური განყოფილების უფროსს

21. **ანჯელიძეს** შოთა რაჟდენის-ძეს — საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს

22. **არაქელოვს** მიხეილ კონიას-ძეს — საქართველოს მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანს

23. **არბოლიშვილს** დიმიტრი ზურაბის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ გეოლოგიური განყოფილების უფროს ინჟინერ-გეოლოგს

24. **არველაძეს** დავით სოლომონის-ძეს — ახმეტის სატყეო მრეწველობის კომბინატის დირექტორს

25. **არონიშიძეს** ნიკოლოზ პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყალთა რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს

26. **ართმელაძეს** ილია დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან

27. **არუთინოვს** ალექსანდრე ლევანის-ძეს — „ხრამჰესმშენის“ სამმართველოს უბნის უფროსს

28. **ასათიანს** გიორგი ბეჟანის-ძეს — ქარხანა „საქსოფლმანქანის“ განყოფილების უფროსს

29. **ასათიანს** ლევან დავითის-ძეს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მთავარ ინჟინერს

30. **ასლამაზოვს** სტეფანე მიხეილის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტი მთავარ ინჟინერს

31. **აღაბაბოვს** ლევან სედრაკის-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოცენტრის უფროსს

32. **აშრიანს** ოვანეს ავეტისის-ძეს — მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

33. **აბალაკაცს** გიორგი ვასილის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო, შენობებისა და ნაგებობების სამსახურის უფროსს

34. **აბელედიანს** ვახტანგ იასონის-ძეს — კავშირგაბმულობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პროექტის მთავარ ინჟინერს

35. **აბობაძეს** ილია აბბაკუმის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ თბილისი-სამგზავროს სავაგონო დეპოს ცვლის ოსტატს

36. **აბობაძეს** თამარ ვასილის ასულს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს

37. **ბაბალოვს** რაფაელ მოსეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს

38. **ბალდასაროს** მარტინ ზაქარიას-ძეს

39. **ბაბუნაშვილს** კონდრატე იოსების-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის განყოფილების გამგეს

40. **ბალასანიანს** გრიგოლ არამის-ძეს

41. **ბარბაქაძეს** ვახტანგ სოლომონის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ გაერთიანებული ნავთობსარეწის გამგეს

42. **ბარძიმოვს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაზის მეურნეობის სამმართველოს უფროსს

43. **ბაქრაძეს** გიორგი სალიბის-ტროს-ძეს — ტრესტ „საქმინერალწყლების“ მმართველს

44. **ბაქრაძეს** ნადეჟდა ვლადიმერის ასულს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს № 3 საავეჯო ფაბრიკის დირექტორს

45. **ბაშკიროვს** აღექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილების ნაწილის უფროსს

46. **ბახტაძეს** არჩილ მათეს-ძეს — საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველოს „ენერგოგასაღების“ მთავარ ინჟინერს

47. **ბახტაძეს** ივანე ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების უფროსს

48. **ბებიაშვილს** კონსტანტინე დავითის-ძეს — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სატრანსპორტო საამქროს უფროსის მოადგილეს

49. **ბეჟანიშვილს** გიორგი დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსს

50. **ბეჟანიძეს** მუსტაფა დავრიშის-ძეს — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მთავარ ინჟინერს

51. **ბერაძეს** გრიგოლ პავლეს-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ქიმკომბინატის დირექტორს

52. **ბერიძეს** გიორგი ლევანის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს

53. **ბერიძეს** დავით დიმიტრის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსს

54. **ბერიძეს** ივანე დავითის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების უფროსის მოადგილეს

55. **ბერმანს** ისაკ აბრამის-ძეს — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს

56. **ბერძენიშვილს** გიორგი გაბრიელის-ძეს — მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

57. **ბეღელაძეს** ნერონ ვარლამის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს მთავარ ინჟინერს

58. **ბიბილეიშვილს** ოთარ ანდრიას-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მმართველს

59. **ბოკერიას** ალექსანდრე ანთიმოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

60. **ბოლქვაძეს** გიორგი სოლომონის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს უფროსს

61. **ბორისენკოს** ლიდია იაკობის ასულს — ტრესტ „საქართველოს ჩაის“ უფროს ინჟინერს

62. **ბორჩხაძეს** ანტონ ტარიელის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაცელთა მთავარი სამმართველოს № 30 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსს

63. **ბოცკაძეს** რაჟდენ მარკოზის-ძეს — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ სტალინის სახელობის შახტის უფროსს

64. **ბრეგვაძეს** ანდრია ისმაილის-ძეს — სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს

65. **ბრეგვაძეს** ვარლამ ალფეზის-ძეს — საქართველოს შახტმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს

66. **ბრეგვაძეს** მალაქია მეთოდის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის ყოფილ მთავარ სპეციალისტს, პენსიონერს

67. **ბუაჩიძეს** აკაკი დავითის-ძეს — „საქენერგოს“ თბილისის ელექტროქსელის მთავარ ინჟინერს

68. **ბუაჩიძეს** დავით ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყალთა რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

69. **ბუკიას** ბორის სამსონის-ძეს — თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

70. **ბუკიას** სერგოფონ გაიოზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური პარტიის უფროსს

71. **ბუკლერს** აბრამ ოშერის-ძეს — ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კანტორის უფროს ინჟინერს

72. **ბულაშვილს** გიორგი სპირიდონის-ძეს — საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველოს „ენერგოგასაღების“ დირექტორს

73. **ბულეიშვილს** დავით ამბროსის-ძეს — ნავთობის გეოლოგიურ-საძიებელი საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს კომპლექსური ლაბორატორიის უფროსს

74. **ბურჯანაძეს** ვლადიმერ მალხაზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს

75. **გაბრიჩიძეს** იოსებ სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის თავარ ინჟინერს

76. **გაბიძაშვილს** პლატონ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარის საოლქო კანტორის უფროსს

77. **გაბუნიას** ევტიხი ბაგრატის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს განყოფილების უფროსს

78. **გაგნიძეს** კონსტანტინე ფილიპეს-ძეს — „საქენერგოს“ მთავარ დისპეტჩერს

79. **გაგოშიძეს** შალვა სერგის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო სამმართველოს უფროსს

80. **გაგნიძეს** თამარ როსტომის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროს ინჟინერ-ეკონომისტს

81. **გავაშელს** ალექსანდრე ბესარიონის-ძეს — ტრესტ „ჰიდროტურბარგანეცის“ მთავარ გეოლოგს

82. **გავრილოვს** იური ნიკოლოზის-ძეს — თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების“ მთავარ ინჟინერს

83. **გამსახურდიას** რაჟდენ რაჟდენის-ძეს — ტრესტ „საქპურკონდიტერის“ მმართველის მოადგილეს

84. **გამხარაშვილს** ანატოლ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

85. **განგიას** აღექსანდრე კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსს

86. **გარდაბხაძეს** მალვა ლევანის-ძეს — ტრესტ „საქშახტმშენის“ მმართველს

87. **გარხევანიშვილს** რომან ივანეს-ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს

88. **გასიტაშვილს** ვლადიმერ გიორგის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს

89. **გასპაროვს** სერგი იაგორის-ძეს — პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საკურორტო სამმართველოს სამშენებლო-ტექნიკური განყოფილების გამგის მოადგილეს

90. **გაჩეჩილაძეს** გრიგოლ პანტელეიმონის-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პირველი საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსს

91. **გაჩეჩილაძეს** ლევან სამსონის-ძეს — „საქენერგოს“ მთავარ ინჟინერს

92. **გაჩეჩილაძეს** ფილიმონ ფილიმონის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

93. **გეგეჭკორს** შალვა პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ქუთაისის კანტორის უფროს ინჟინერს.

94. **გეგეშიძეს** პავლე იასონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მთავარ ინჟინერს

95. **გეგიას** მიხეილ ერმოლეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ჭიათურის უფროსს

96. **გედევანიშვილს** ოთარ პარმენის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო-საშვეელი ნაწილების უფროსს

97. **გეთიას** ბარბარე პეტრეს-ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ წყალტუბოს უფროსს

98. **გელიაშვილს** სიმონ იოსების-ძეს — საქართველოს სსრ სადგურობრივი მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნენერგოს“ მმართველს

99. **გვათუას** ლეონიდე სარდიონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სოხუმის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორს

100. **გველესიანს** ქეთევან გალაქტიონის-ასულს — ძიულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშის“ მთავარ ინჟინერს

101. **გიგინეიშვილს** აქვსენტი ლავრენტის-ძეს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მმართველის მოადგილეს

102. **გიორგობიანს** კონსტანტინე სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილეს

103. **გიორგაძეს** პავლე ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მთავარ ინჟინერს

104. **გიორგაძეს** შალვა ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „სამგორი-წყალმშენის“ მმართველს

105. **გობეჩიას** თამარ ივანეს ასულს — ტრესტ „საქზორცმრეწვის“ მთავარ ტექნოლოგს

106. **გოგავას** გრიგოლ ერმილეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მმართველის მოადგილეს

107. **გოგავას** შალვა ბესარიონის-ძეს — ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სამტრედიის მექანიკური ქარხნის დირექტორს

108. **გოგიძეს** ლევან ილიას-ძეს — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის მთავარ მექანიკოსს

109. **გოგიტიძეს** იოსებ გერმანის-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის მმართველს

110. **გოგოლაძეს** ალექსანდრე კაპიტონის-ძეს — „საქენერგოს“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს

111. **გოგოლაძეს** გიორგი კაპიტონის-ძეს—ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის № 5 საამქროს უფროსის მოადგილეს

112. **გოგოლაძეს** დავით თომას-ძეს—თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს

113. **გოგიჩაძეს** დავით ივანეს-ძეს

114. **გოგორაშვილს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაცელთა მთავარი სამმართველოს № 4 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს

115. **გოლიახოვსკის** ვალენტინ იაკობის-ძეს — აპარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მთავარ ინჟინერს

116. **გომელაურს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს

117. **გორგასლიძეს** აპოლონ გიორგის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს № 3 მექანიკური ქარხნის დირექტორს

118. **გოქსაძეს** გიორგი ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების რევიზორს მოძრაობის უსაშიშრობის დარგში

119. **გოშხოთელიანს** ლევან ვარლამის-ძეს — ტრესტ „ჰიდროტურბარგანეცის“ მმართველს

120. **გოცირიძეს** ვარლამ ვიქტორის-ძეს — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მთავარ მექანიკოსს

121. **გოცირიძეს** ვარლამ ერასტის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს

122. **გოცირიძეს** ვიქტორ დავითის-ძეს — „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსს

123. **გოძიევს** ნიკოლოზ სერგის-ძეს — თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სწავლულ მდივანს

124. **გრიგოლაშვილს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის მთავარ ინჟინერს

125. **გუბიევს** ყაზბეგ გაყას-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს

126. **გუდაძეს** გიორგი ედიშერის-ძეს — ტრესტ „საქმთამადნეულის“ „საქფეიმრეწვის“ დირექტორს

127. **გულიევს** ალბერტ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების უფროსს

128. **გულუას** მიხეილ ეგნატეს-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის კომბინატის დირექტორს

129. **გუმბერიძეს** იონა დარმანტის-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქმთავარსოფლელექტროს“ საელექტროფიკაციო სამმართველოს უფროსს

130. **გურაბანიძეს** შალვა ანდრიას-ძეს — თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მთავარ ინჟინერს

131. **გუჯაბიძეს** ვასილ დიმიტრის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების უფროსს

132. **გუჯეჯიანს** ბორის ივანეს-ძეს — მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

133. **დადიანს** კონსტანტინე პეტრეს-ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს

134. **დგებუაძეს** ქუჩუ ანდრიას-ძეს — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორს

135. **დემურაშვილს** ივანე იაკობის-ძეს — ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ინჟინერ-მექანიკოსს

136. **დიასამიძეს** მაკბული სულეიმანის ასულს — ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსს

137. **დიდენკოს** ვასილ სერგის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაცელთა მთავარი სამმართველოს № 27 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსს

138. **დიდებულიძეს** ვახტანგ აჩქიფოს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის განყოფილების უფროსს

139. **დიდებულიძეს** კონსტანტინე აფნადარის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის „თბილმრეწმშენის“ მმართველს

140. **დოლიძეს** ავთანდილ ირაკლის-ძეს — ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა-სამმართველოს მმართველს

141. **დობორჯგინიძეს** შალვა სიმონის-ძეს — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღებავოს სწავლების ფაკულტეტის დეკანს

142. **დოლიძეს** არჩილ სოლომონის-ძეს — თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავის ქარხნის მთავარ ინჟინერს

143. **დოლიძეს** ვასილ ისიდორეს-ძეს — თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს

144. **დოლიძეს** სერგი სოლომონის-ძეს — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორს

145. **დუდჩენკოს** ევგენია ივანეს ასულს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

146. **ეგანოიძეს** ლევან ერმალოზის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ ლილოს კანტორის მთავარ ინჟინერს

147. **ეგრალიძეს** ვიქტორია სამსონის ასულს — თბილისის საკონდიტრო კომბინატის დირექტორს

148. **ეგრალიძეს** რაჟდენ სილოვანის-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქენერგოპროექტის“ მთავარ ინჟინერს

149. **ელერდაშვილს** სიმონ ისიდორეს-ძეს — საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სექტორის უფროსს

150. **ელიავაშვილს** მიხეილ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთავარ სპეციალისტს

151. **ენდელაძეს** ლევან ვარლამის-ძეს — თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ დირექტორს

152. **ეპიტაშვილს** ვახტანგ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების უფროსს

153. **ერგემლიძეს** ივანე გიორგის-ძეს — ტრესტ „ჰიდროტურბარგანეცის“ მმართველის მოადგილეს

154. **ეროშევს** ვსევოლოდ ვიქტორის-ძეს — სახურთალოს აგურის ქარხნის მთავარ ინჟინერს

155. **ვაინერს** ლევ იზრაილის-ძეს — ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის მთავარ ინჟინერს

156. **ვაინშტეინს** ბორის ზინობის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ელექტროშვების განყოფილების ლაბორატორიის ხელმძღვანელს

157. **ვადოვს** იგორ ივანეს-ძეს

158. **ვარაზაშვილს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსს

159. **ვარდანაშვილს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს მძიმე და ელექტრომრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს

160. **ვარდანაშვილს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს

161. **ვარდიშვილს** ალექსანდრე გრიგოლის-ძეს —ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მმართველს

162. **ვარდოსანიძეს** გრიგოლ ვლადიმერის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილეს

163. **ვასაძეს** ელიზბარ ნიკოლოზის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ მმართველის მოადგილეს

164. **ვაშაკიძეს** ქეთევან ტარასის ასულს — თბილისის კერამიკული კომბინატის საამქროს უფროსს

165. **ვაშაკიძეს** შალვა დავითის-ძეს— საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მრეწველობის სამმართველოს უფროსს

166. **ვაშალომიძეს** შალვა აკაკის-ძეს — თბილისის ხორცკომბინატის მთავარ ინჟინერს

167. **ვაშაძეს** გრიგოლ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს სანიტარ პარტიის უფროსს

168. **ვარაძეს** ირაკლი ანტონის-ძეს — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის თბილისის ფილიალის დირექტორს

169. **ვარნავეს** დიმიტრი გიორგის-ძეს — საქართველოს სანიტარ ქვანახშირისა და მთამადნეულის ტრესტის ნორიო-მატრაფოფის გეოლოგიური პარტიის უფროსს

170. **ვახანიას** ეკგარაფ ყარამანის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ მმართველის მოადგილეს

171. **ზაალიშვილს** იოსებ გიორგის-ძეს — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარ არქიტექტორს

172. **ზამბახიძეს** გრიგოლ ნიკიფორეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს

173. **ზამთარაძეს** ალექსანდრე მიტროფანეს-ძეს — მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს

174. **ზამთარაძეს** გრიგოლ ივანეს-ძეს — საქართველოს შაქრის კომბინატის მთავარ ინჟინერს

175. **ზამთარაძეს** კონსტანტინე ისიდორეს-ძეს — ტრესტ „ჰიდროტურბარგანეცის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსს

176. **ზამთარაძეს** ნიკოლოზ ისიდორეს-ძეს — „საქენერგოს“ სოხუმის ელექტროქსელის მთავარ ინჟინერს

177. **ზამკოვს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის თანამშემწეს

178. **ზაქარაიას** ფილიპე გაბას-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსადგურის უფროსს

179. **ზელცერს** მათე დავითის-ძეს

180. **ზოზულიას** ალექსანდრე ნიკიფორეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს მთავარ მექანიკოსს

181. **ზუბკოვს** გრიგოლ კარპეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს განყოფილების უფროსს

182. **თავართქილაძეს** ლავრესი კარპეზის-ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სიონის წყალსაცავის მშენებლობის მთავარ ინჟინერს

183. **თავაძეს** შალვა მათეს-ძეს — საქართველოს სსრ მეტნიერებათა აკადემიის საპროექტო კანტორის მთავარ არქიტექტორს

184. **თარგამაძეს** ლავრენტი მიხეილის-ძეს —თბილისის ქარხანა „ბლასტმასის“ მთავარ ინჟინერს

185. **თარხნიშვილს** ალექსი ალექსანდრეს-ძეს — ტრესტ „საქპურკონდიტერის“ მმართველის მოადგილეს

186. **თაფლაძეს** ალექსი ბაბვას-ძეს — გეგეჭკორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარეს

187. **თედეიეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა უფროს მწარმოებელს

188. **თედორაშვილს** შალვა ილიას-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროს უფროსს

189. **თეოდორაძეს** ვასილ ირაკლის-ძეს —თბილისის აბრეშუმსაქმოსი ფაბრიკის მთავარ მექანიკოსს

190. **თეოზაძეს** პეტრე ათონას-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსს

191. **თეოზაძეს** შალვა ანტონის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მთავარ ინჟინერს

192. **თოიძეს** მიხეილ ზაქარიას-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტროფიკაციის სამსახურის უფროსს

193. **თოფაძეს** ლევან ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო სამმართველოს განყოფილების უფროსს

194. **თოფჩიევს** დავით ანტონის-ძეს— „საქენერგოს“ №1 კასკადის მთავარ ინჟინერს

195. **თოფჩიშვილს** ივანე ალექსის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციისა და ენერგომეურნეობის სამსახურის მთავარ ინჟინერს

196. **თუთრეას** გიორგი ესტატეს-ძეს— „საქენერგოს“ ცენტრალური ლაბორატორიის მთავარ ინჟინერს

197. **ოხინაოლელს** გიორგი ქრისტესიას-ძეს — თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს

198. **ია

დიდი დღესასწაულის წინ

საიუბილეო საღამოები

საბჭოთა საქართველოსთან ერთად ვითარდება და იფურჩქნება ქართული საბჭოთა ლიტერატურა. დღეს ქართველი მწერლებიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად დღესასწაულობენ სახელოვან იუბილეს. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში ამ დღეებში გაიმართა ლიტერატურული საღამოები, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი.

მრავალი მკითხველი დაესწრო საიუბილეო ლიტერატურულ საღამოს, რომელიც **გათუმის** სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა, დ. თებიძემ.

საღამოზე ვრცელი მოხსენება—„ქართული საბჭოთა ლიტერატურა ორმოცი წლის მანძილზე"—წაიკითხა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა. საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები ნ. მალაზონია, მ. ვარშანიძე, ა. სულაკაური, ნ. გურეშიძე, ფ. ხალვაში, ჯ. ჯაყელი და სხვ., თავისი ახალი მოთხრობის ნაწყვეტი წაიკითხა მწერალმა ს. კლდიაშვილმა.

სოხუმში გამართული ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს, იყო მწერლების ერთგვარი ანგარიში მკითხველთა წინაშე.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ი. თარბამ. ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებზე ორმოცი წლის მანძილზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ.

საღამოზე სიტყვებით და საკუთარი ნაწარმოებების და თარგმანების კითხვით გამოვიდნენ როგორც აფხაზეთში მოძუშავე, ისე თბილისიდან ჩასული მწერლები და პოეტები მ. ასათიანი, ა. ბელიაშვილი, გ. ბუგლია, ი. თარბა, ნ. თარბა, კ. კალაძე, დ. კვიცარიძე, კ. ლომია, რ. მარგიანი, მ. მაკავარიანი, ბ. შინკუბა, ა. ჯონუა.

ცხოვლად და საინტერესოდ გაიმართა საიუბილეო ლიტერატურული საღამო **ჟუთაისში.** იგი შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ. კრიტიკოს ს. ჭილაიას მოხსენების შემდეგ საკუთარი ნაწარმოებები წაკითხეს ჟუთაისში მომუშავე მწერლებმა და პოეტებმა დ. ახობაძემ, რ. ბერობემ, ა. გურჯიძემ, დ. კვიცარიძემ, ზ. კუხიანიძემ, მ. კაკიტელაშვილმა, გ. სამხარაძემ, ა. სინაურმა, აგრეთვე სტუმრებმა — მ. ასათიანმა, აკ. ბელიაშვილმა, კ. კალაძემ, რ. მარგიანმა, მ. მაკავარიანმა, დ. შენგელაიამ. დასასრულ გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე.

საიუბილეო ლიტერატურული საღამოები გაიმართა აგრეთვე **სამტრედიაში** და **ზუგდიდში.**

მგზავრობა ჰაერში

საგურთალო—დიდუბე

უკან დარჩა ახალმშენებლობათა უბანი საბურთალო... მგზავრებით დატვირთული ვაგონი ჰაერში გაიჭრა. ჩვენს ქვემოთ მიმზიდველი ჩანს მწვანე ხეივნებით მოქარგული ფერდობი, ადიდებული მტკვრის ტალღები, კიდევ რამდენიმე წუთი და უკვე დიდუბეში დავეშვით.

ეს საჰაერო-საბაგირო გზა თბილისის ორ დიდ უბანს აკავშირებს. აქ დაკვრითი წესით მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები.

ამ გზის მშენებლობის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელია ახალგაზრდა ინჟინერი ი. გოგინაშვილი. მშენებლობაზე თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ინჟინერმა ს. მიქაძემ, ა. გიორგობიანმა, მებეტონეებმა ი. ცხვედაძემ, დ. ჩხაიძემ, რ. გეორკიანმა, მეარმატურეებმა დ. გაგნიძემ, ა. ტარანოვმა, ა. ანოზოვმა, დურგალმა ვ. მაისურაძემ, მოწინავე მუშამ დ. ნაზლევმა და სხვ.

გზის დანადგარები დაამონტაჟა ტრესტებმა „სოიუზპრომ მეხანიზაციამ" და „კაველექტრომონტაჟმა".

საჰაერო-საბაგირო გზის მთავარი კონსტრუქტორია გ. ფანცულაია; გზის სადგურები დააპროექტეს არქიტექტორმა თ. მიქაშავიძემ და კონსტრუქტორმა ბ. კახაძემ.

საჰაერო-საბაგირო გზის სიგრძე 628 მეტრია. თვითეულ კომფორტაბელურ ვაგონში 25 კაცი ეტევა.

საბჭოთა საქართველოს ეროვნული დღესასწაულის წინადღეებში შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა ჩვენს დედაქალაქს თბილისის ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ.

* * *



სურათზე: ახალი საბაგირო გზა, რომელიც აკავშირებს თბილისის ორ უბანს — დიდუბესა და საბურთალოს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კინოფილმი „მეზობლიური საქართველო"

ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ დაამთავრა გადაღება ახალი დოკუმენტალური ფილმისა „მეზობლიური საქართველო", რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

„იცხოვრე და სხვაც აცხოვრე"—

ნ. ს. ხრუშჩოვის ეს სიტყვები მოკუკავს დღეს დასავლეთის მთელ პრესას

ვაშინგტონი, 7 მაისი. (საკდესი). ვაშინგტონის გუშინდელი საღამოს გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელიც ერევანში წარმოთქვა.

„სტარი" პირველ გვერდზე აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწერილებითს შინაარსს. შეტხარე ტაშით შეხვდნენ, აღნიშნავს „სტარი" ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომლებიც გმობენ შეიარაღებულ ინტერვენციას კუბის წინააღმდეგ.

„იცხოვრე და სხვაც აცხოვრე"—ხრუშჩოვი ამ სიტყვებით მიმართავს შეერთებულ შტატებს",—დაასკვნის გაზეთი.

გაზეთები გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებებს იმის შესახებ, რომ „დასავლეთის სახელმწიფოებია ხელი უნდა აიღონ იმ ცდებზე, რომ სამხედრო ძლაცდარმად „გიხადონ ლაოსი" და რომ საბჭოთა მთავრობა სრული სერიოზულობით ემზადება შეერთებულ შტატებთან მოსალაპარაკებლად განიარაღების საკითხებზე.

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საკდესი). „ნიუ-იორკ-ტაიმსი" პირველი გვერდის ყველაზე თვალსაჩინო ადგილს ათავსებს ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის ერევანში გამოსვლის შესახებ და ძირითად ყურადღებას უთმობს განიარაღების პრობლემას.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" თვალსაჩინო ადგილას არის მოთავსებული კორესპონდენტ ლისტერის ცნობა მოსკოვიდან, რომელიც აგრეთვე პირველ ადგილზე აყენებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოსაზრებებს განიარაღებაზე მოლაპარაკების შესახებ.

გაზეთ „ნიუ-იორკ მირორის" მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო ცნობა მოსკოვიდან სათაურით: „ხრუშჩოვი გაფრთხილებას იძლევა კუბის შესახებ". გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენში" იგივე ცნობა გამოქვეყნებულია სათაურით „ხრუშჩოვ კვლავ ჰპირდება კასტროს დაეხმაროს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში".

ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს ცნობაში (ვაშინგტონიდან) ნათქვამია, რომ, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რობერტ მაკლოსკიმ განაცხადა, ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნების ტექსტს შეისწავლიან, სანამ რაიმე განცხადებას გაკეთებდნენ ამის თაობაზე.

პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგაზეთომ გავრცელა ცნობა თავისი მოსკოველი კორესპონდენტისა, რომელიც კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ერევანში წარმოთქმულ სიტყვას და წერს: „სსრ კავშირი კვლავ ერთგულია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისა, წინანდებურადვე იძლევა რჩევას, რადაც უნდა დაჯდეს, თავი აარიდონ ატომურ ომს და კარს ღიათ ტოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ასეთია დადებითი დასკვნა ხრუშჩოვის საგარეოპოლიტიკური გამოსვლებიდან მის საათნახევრიან სიტყვაში, რომელიც 6 მაისს წარმოთქვა ერევანში". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში კუბის წინააღმდეგ აგრესიისა და ლაოსის ამბების თაობაზე ხაზგასმული იყო, რომ საჭიროა „დაალეწენ იქნეს კრიზისი, ასე ვთქვათ, გადაიმალოს ერთი ფურცელი და კვლავ გამოინახოს მშვიდობიანი და კონსტრუქციული მოლაპარაკების გზა... შეერთებული შტატების მთავრობას იგი წინადადებით მიმართავს გაკვეთილად გამოიყენოს კუბის ამბები და გონივრული პოზიცია დაიკავოს, დაეყრდნოს ამერიკის ისეთ საზოგადოებრიობას, რომელიც აქ (ე. ი. მოსკოვში. — **რედ.**) სხვა ქვეყნების საქმეებში პირდაპირი ჩარევის მოწინააღმდეგედ მიაჩნიათ".

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე და გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ადგილს,

ქურდი გაიძახის: დაიჭით ქურდი!

პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგაზეთო იუწყება, კატანგის „პრეზიდენტი" მოიზ ჩომბეს, რომელიც 26 აპრილს დაუპატიმრეს კოკიანელს (კონგოს ეკვატორული პროვინცია) კონგოელ მარიონეტთა თათბირზე ჩასვლისას, სამართალში მისცემენ „უმაღლესი სახელმწიფო ღალატის" ბრალდებით.

თავის ცნობაში საგაზეთო იმოწმებს ლეოპოლდვილის „მთავრობის" საგარეო საქმეთა მინისტრის" ოფიციალურ განცხადებას.

„საგარეო საქმეთა მინისტრმა" ბომბოკომ განაცხადა, რომ ჩომბეს ბრალად სდებენ ბალუბას ტომის წევრთა დახოცვას, ყალბი ვალუტის მოჭრას, ლეოპოლდვილის „მთავრობის" წინააღმდეგ ამბოხებასა და სხვადასხვა ქონების დაცვებას.

ინდოეთი აღნიშნავს თაგორის დაბადების 100 წლისთავს

დელი, 8 მაისი (საკდესს კორესპონდენტი ვ. მატიაში იუწყება:

დღეს ინდოეთის ხალხები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ რაბინდრანატ თაგორის დაბადების ასი წლისთავს. 8 მაისის დღე ინდოეთში არასამუშაო დღედ არის გამოცხადებული. გაზეთები გამოვიდა სპეციალური დამატებებით, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორი იყო დიდი პუმანისტი მწერალი და განმანათლებელი ცხოვრება და შემოქმედება.

ინდოეთის პარლამენტის ცენტრალურ დარბაზში დილით ვიცე-პრეზიდენტ ს. რადჰაკრიშნანის თავმჯდომარეობით გაიმართა პარლამენტის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის დიდი შვილის ხსოვნას.

თაგორის ასი წლის იუბილეს მიეძღვნა დელიში ხელოვნების ეროვნული აკადემიის — რაბინდრა ბჰავანის ახალ შენობათა გახსნის ცერემონია. ცერემონიაზე გამოვიდა ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი.

დიდი ზეიმი იმართება მწერლის სამშობლოში, დასავლეთ ბენგალიაში. ამ დღეებში შანტინიკეტანში, სადაც მწერალმა მრავალი წელი გაატარა და დააარსა მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტი, რომელიც მის სახელს ატარებს, ჩადიან ტურისტები ინდოეთის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან.

ბენგალიაში გამართულ ზეიმზე ჩასული პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ ჩადგებს კალკუტაში თაგორის მომავალი უნივერსიტეტის საძირკვლის პირველ ქვას და გახსნის ეროვნული თეატრის მშენებლობას.

ინდოეთის პრესა ფართოდ აშუქებს რაბინდრანატ თაგორის ასი წლის იუბილეს დღესასწაულს სსრ კავშირში. გაზეთები იუწყებიან, რომ კრემლის თეატრში მოსკოვში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მწერლის ხსოვნას. პრესა აღნიშნავს, რომ რ. თაგორის ნაწარმოებებმა საბჭოთა კავშირში საყოველთაო-სახალხო აღიარება ჰპოვეს და უდიდესი ტირაჟით არის გამოცემული საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ბევრ ენაზე.

კოლონიზატორები ჩქარობენ...

ლონდონი, 7 მაისი. (საკდესი). დამსჯელთა მრავალი რაზმი გაგზავნეს ანგოლის აჯანყებული ხალხის დასათრგუნავად. ანგოლაში ჩადიან სალაბარის ჯარების ახალ-ახალი კონტინგენტები. მალე ანგოლაში მყოფ პორტუგალიის 15-ათასიან არმიას შეეერთდება კიდევ 3400 ჯარისკაცი, რომლებიც ლისაბონიდან მიცურავენ გუმ „ვერა-კრუსით". რეიტერის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს ჯარების ყველაზე დიდი გადასხმაა პორტუგალიის დასავლეთ აფრიკის კოლონიაში" ანგოლის ჩრდილოეთ ნაწილში აჯანყების დაწყების მომენტიდან.

პორტუგალიის ლუზიტანიის საგაზეთო აღიარებით, ანგოლის დედაქალაქ ლუანდაში ბევრი „ტერორისტია" და „ახლანდელი სიმშვიდე აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პოლიცია და მილიცია დღე და ღამ ფხიზლად პატრულობენ ქალაქს". ეს „სიმშვიდე" მეტად შეფარდებითია.

რას გააკეთებს „ახალი" ცენტრი?

ვაშინგტონი, 7 მაისი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა 6 მაისს გამოაცხადა, რომ შეიქმნა „სპეციალურ ოპერაციათა" ახალი ცენტრი, რომელიც არსებითად ცივი ომის წარმოების ცენტრია. მის ხელმძღვანელად დანიშნულია თეოდორ აქილესი, რომელიც იმუშავებს სახელმწიფო მდივნის რასკის. უშუალო ხელმძღვანელობით.

აქილესი და მისი აპარატი, ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, პასუხს აგებენ იმაზე, რომ კრიზისების წარმოშობის შემთხვევაში სახელმწიფო მდივანს, მისი მეშვეობით კი — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მისცენ დროული რეკომენდაციები.

ცენტრის მოვალეობაში შეავა აგრეთვე თვალყურის დევნება „იმისათვის", რომ დროზე გაეხორციელდეს" სახელმწიფო მდივნისა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებანი.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო აღნიშნავს, პირველი ორი პრობლემა, რომელზეც ახალი ცენტრი იმუშავებს, — კუბისა და სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობაა.

სსრ კავშირის გუნდი — ევროპის ჩემპიონი

გუშინ გვიან საღამოს ბელგრადში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები. დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ტაიმის შედეგი იყო 31 : 23 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმშიც ინიციატივას სსრ კავშირის გუნდი ინარჩუნებდა, რომელმაც მოიგო მატჩი ანგარიშით 60 : 53.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონი კალათბურთში გახდა სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი.

კომუნისტი

ტალის პოზიციური უპირატესობით...

მოსკოვი. 8 მაისი. (ტელეფონით). ტალის სპორტული ფორმა აშკარად გაუმჯობესდა. უკანასკნელ პარტიებს იგი ატარებს დიდი აღმავლობით, გაბედულად.

მეოცე პარტიაში ბოტვინიკმა შავებით, როგორც ყოველთვის, კროკანის დაცვა აირჩია. თეორების შემტევ თამაშს ექსჩემპიონმა კარგად ორგანიზებული დაცვით უპასუხა და ბოლომდე ძნელი სათქმელი იყო, თუ ვის მხარეზეა უპირატესობა. მსოფლიოს ჩემპიონმა შავებს არაერთგზის შესთავაზა ხარისხი, მაგრამ ბოტვინიკმა არ მიიღო შეწირვა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ შავებმა მოიგერიეს ყველა მუქარა და გაამარტივეს პოზიცია, მაგრამ სწორედ ამ დროს ტალმა შეძლო ინიციატივის დაუფლება. პარტიის გადადების წინ ცხადი გახდა, რომ ბოტვინიკს მოუხდებოდა ხანგრძლივი თავდაცვის წარმოება.

პარტია გადადიდო ასეთ პოზიციაში:

მ. ბოტვინიკი



a b c d e f g h

მ. ტალი

თეორები: მფd2, ეb6, ეh1, მa4, პპ: a2, b2, d3, d4, e5, f4, h4;

შავები: მფg7, ეc7, ეe8, მd8, პპ: a6, b7, c6, d5, f5, g6, h5

ჩაწერილია შავების 42-ე სვლა. გროსმაისტერებს მიაჩნიათ, რომ ბოტვინიკი ყაიმის თვალსაჩინო შანსებს ინარჩუნებს, მაგრამ პარტიის დამთავრება ხანგრძლივი უნდა გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, მატჩ-რევანშის მეოცე პარტიამ ჯერ კიდევ არ გამოავლინა გამარჯვებული.

ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

ინგლისის „ასტონ ვილა" მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ასტონ ვილა", რომელმაც ამ ქვეყნის ჩემპიონატში მეცხრე ადგილი დაიკავა.

პირველ მატჩს ინგლისელი ფეხბურთელები გამართავენ 11 მაისს მოსკოველ „დინამოსთან", რის შემდეგ თბილისში გამოუმგზავრებიან. თბილისის „დინამოსა" და „ასტონ ვილას" მატჩი შედგება 14 მაისს.

„მეგობრობის თასზე"

მეოთხე ეტაპი

მრავალდღიანი ველოსიპედების ტურნირის მეოთხე ეტაპი, რომელიც გასულ კვირადღეს შედგა, ხაშური — გორი — თბილისი იყო. ხაშურიდან ველოსიპედისტებმა სტარტი ცალცალკე აიღეს, ხოლო გორიდან — საერთო.

ხაშურიდან გორამდე რბოლაში უძლიერესი იყო სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ტ. ავაქიანი. წინა ეტაპში გამარჯვებულმა რ. გუძმა მეორე ადგილი დაიკავა.

საინტერესო იყო ბრძოლა გორიდან თბილისამდე. რბოლა ძირითადად ჯგუფურად მიმდინარეობდა. ფინიშთან მეტოქეებმა ტემპს უმატეს და დიდი სიჩქარეზე განავითარეს. აქ გამარჯვება ხვლა სომხეთის გუნდის ველოსიპედისტ ს. ოგანესიანს („სპარტაკი"). მისმა თანგუნდელმა მ. ჯაშმალიანმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა თბილელი ვ. სოგოიანი.

ოთხი ეტაპის შემდეგ „მეგობრობის თასზე" ველოსიპედების ლიდერი გახდა ტ. ავაქიანი.

ათი მატჩი

7 და 8 მაისს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ვაიმართა „ა" კლასის გუნდების მეექვსე ტურის შეხვედრები ფეხბურთში. მატჩების შედეგები ასეთია:

მესამე დამარცხება ზედიზედ

ხარკოვი. დონის როსტოვსა და მოსკოვში დამარცხების შემდეგ თბილისელ დინამოელები თამაშობდნენ ხარკოვში „ავანგარდის" წინააღმდეგ. ამ მატჩში მათი შემადგენლობა ასეთი იყო: **კოტრიკაძე, ჩიხელი, თორაძე, ხურცილავა, ხუნდაძე, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, იამანიძე, მესხი.**

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა — 0 : 0. შეჯიბრების მეორე ნახევარში მასპინძლებმა ისარგებლეს დაცვის შეცდომით, გაიტანეს ბურთი და მოიგეს მატჩი.

ეს თბილისის „დინამოს" მესამე დამარცხებაა ზედიზედ.

△ **მოსკოვი.** ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მძაფრი ბრძოლის შემდეგ მატჩი მაქს „ნეფტიანიკთან" ფრედ — 2:2 დაამთავრა.

△ **ვილნიუსი.** სსრ კავშირის ჩემპიონი —მოსკოვის „ტორპედო" თამაშობდა ვილნიუსის „სპარტაკის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა 1:0.

△ **რიგა.** დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და რიგის „დაუგავას" გუნდების მატჩის შედეგია ფრე 1:1.

△ **ვორონეჟი.** აქ სტალინოს „შახტიორისა" და ვორონეჟის „ტრუდის" ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 0 : 0.

△ **კიუნინიოვი.** კიევის დინამოელები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას. მეექვსე ტურში მათ დაამარცხეს კიშინიოვის „მოლდოვა" 3:1.

△ **მინსკი.** ადგილობრივმა „ბელარუსმა" მატჩი ერევნის „სპარტაკთან" დაამთავრა ფრედ 1:1.

△ **ლენინგრადი.** მეექვსე ტურის მატჩში ტაშკენტის „პახტაკორი" შეხვდა ადგილობრივ „ზენიტს" და დამარცხდა 1:4.

△ **ბაკინი.** ალმა-ატის „კაირატისა" და ტალინის „კალევის" მატჩის შედეგია 2:1 „კაირატის" სასარგებლოდ.

△ **მოსკოვი.** დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები —ცსკა და „დინამო". გაიმარჯვა ცსკა-მ — 3 : 1.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

9 მაისი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის — დემონი (მე-13 აბონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ქარიშხალში, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — „მეფოლე ქალი", **ვასო აბაშიძის სახელობის** **მუსიკალური კომედიის** — მხოლოდ შენ ერთს...

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „მშვიდობის პირველი დღე", 18.00 — გადაცემა მოწაფეთათვის — „მხატვრული ფილმი „ბავშვობა", 19.20 — გადაცემა — „გამარჯვების დღესასწაული". 19.40 — გადაცემა ციკლიდან — „იანგრის პლენუმის გადწყვეტილებათა საპასუხოდ — „სართიჟალის საბჭოთა მეურნეობაში", 19.55 — გადაცემა „მომავალი ქართული კინემატოგრაფისტები", 20.30 — ახალი ამბები, 20.45 — მხატვრული ფილმი — „მშვიდობის პირველი დღე".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82 05, პასუხისმგებელი მდივნისა—3-72-80, სამდივნოსი—3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3 81-84, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-00, წერილების—3-73-24, ხალხსტატისტიკა—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

კოსმოსურ სივრცეში

საგზოთა მეცნიერების კოსმოსის ათვისების შესახებ

ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების გაშვებამ, რაც წინ უძღოდა საბჭოთა კოსმონავტის გაფრენას თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით", შესაძლებელი გახადეს განხორციელებულიყო მეცნიერულ ექსპერიმენტთა კომპლექსი დედამიწის გარეშოსა და კოსმოსურ სივრცეში. ამასთან დიდი ყურადღება მიექცა მაგნიტური ველის კვლევას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მეცნიერ შ. დოლგინოვის სტატიას, რომელსაც 1960 წლის ლენინური პრემია მიენიჭა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღო დედამიწის გარეგანი რადიაციული სარტყლის აღმოჩენასა და კვლევაში და დედამიწისა და მთვარის მაგნიტური ველის კვლევაში.

* * *

დღემდე ცნობილი არ არის დედამიწის თვით მაგნიტური ველის მიზეზი. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი ელექტროდენების შედეგია, რომლებიც წარმოიშვება დედამიწის თხევად გამტარ ბირთვში მიმდინარე გარკვეული ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. ამრიგად მაგნიტური ველის შესწავლა დედამიწის წიაღის ფიზიკური მდგომარეობისა და შინაგანი პროცესების, აგრეთვე საერთოდ, პლანეტების კოსმოგონიური ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა.

დედამიწისა და მთვარის მაგნიტური ველის კვლევამ, რაც საბჭოთა მეცნიერებმა განახორციელეს, დახასიათა მისცა პლანეტების მაგნიტური ველის შესწავლას ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების დახმარებით. მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის ფრენის დროს განხორციელებული გაზომვების შედეგად დადგენილია, რომ მთვარეს, დედამიწისაგან განსხვავებით არა აქვს შესამჩნევი ინტენსივობის დიპოლური ველი. ეს შედეგი ეთანხმება თანამედროვე მიპოთეზას დედამიწის მაგნიტური ველის წარმოშობის შესახებ და წარმოდგენებს მთვარის თანამედროვე ფიზიკური მდგომარეობის შესახებ.

აქვთ თუ არა სხვა პლანეტებს მაგნიტური ველები? პლანეტები ვენერა და მარსი, რომელთაგან პირველს აქვს დედამიწასთან მიახლოებული ზომა და მასა, ხოლო მეორეს დედამიწის თანაბარი ღერძის გარშემო ბრუნვის პერიოდი, შესანიშნავი ობიექტებია კოსმოსური მაგნეტიზმის პრობლემების კვლევისათვის. აქვთ თუ არა პლანეტებს ვენერასა და მარსს, დედამიწის მსგავსად, თხევადი გამდნარი წიაღი? როგორია მათი ქიმიური შედგენილობა? აქვთ თუ არა რკინა-ნიკელის ბირთვი? ამ და ბევრ სხვა საკითხს შეიძლება მოჰფინოს შუქი მაგნიტურმა და გრავიტაციულმა კვლევამ, რაც განხორციელდა ამ პლანეტების უშუალოდ ახლოს. საბჭოთა რაკეტული ტექნიკის შესანიშნავი წარმატებანი გვინერგავენ იმედს, რომ ასეთი კვლევა განხორციელდება.

დედამიწის მაგნიტური ველის კვლევის შედეგად დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით დადგენილ იქნა, თუ რა ზომით შეესაბამება თანამედროვე მაგნიტური რუკები ველის რეალურ განაწილებას. დედამიწის მაგნიტური ველი განსაზღვრავს დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებში ბევრი პროცესის მიმდინარეობის ხასიათს. მაგნიტური ქარიშხლები, რომლებსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თან ახლავს პოლარული ნათება, იონოსფეროს აღშფოთება, კოსმოსური სხივების ინტენსივობის ცვლილება, იმის შედეგია, რომ დედამიწაზე ზემოქმედებას ახდენს მზის იონიზებული მატერია და რადიაცია, რომელსაც გამოჰყოფს მზე აქტიური პერიოდების დროს.

დედამიწის ზედაპირზე მაგნიტურ აღშფოთებათა წარმოშობისა და მიმდინარეობის ბევრი კანონზომიერება მეტად დაწვრილებით არის შესწავლილი. მაგრამ ამ მოვლენათა ზუსტი პროგნოზი დღემდე დიდ სიძნელეებს აწყდება. ამას გარდა, მეცნიერული და პრაქტიკული ამოცანაა მევრსხვავლოთ ხასიათი და ზომა, თუ რა გავლენას ახდენს დიდ სიმაღლეზე მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები დედამიწის ატმოსფეროს მდგომარეობაზე, მათ შორის მის დაბალ ფენებზე, სადაც იქმნება ჩვენი პლანეტის კლიმატი.

ხელოვნური თანამგზავრებითა და კოსმოსური რაკეტებით განხორციელებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა მიგვეღო განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც შუქს ჰფენენ დედამიწის მაგნიტურ ველთან მზის მატერიის ურთიერთ მოქმედების მექანიზმს.

დადგენილია, რომ მზის მატერიასთან დედამიწის მაგნიტური ველის ურთიერთმოქმედების მექანიზმის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მზის კორპუსკულების ჩატაცება დედამიწის მაგნიტური ველის მიერ. რის შედეგად წარმოიშვება რადიაციული სარტყლები დედამიწის გარშემო და დენის სისტემები დედამიწისაგან დიდ მანძილზე.

როგორღა ძიმდინარეობს მზისაგან დედამიწისაკენ მატერიის ტრანსპორტირების პროცესი? ჯეროვერობით ცნობილია მხოლოდ ამ პროცესის ცალკეული მხარეები. მაგალითად, მზეზე აფეთქებათა დაკვირვების მომენტებთან შედარებით მაგნიტური ქარიშხლების დაწყების დაგვიანების დროის მიხედვით დადგენილია, რომ კორპუსკულების ნაკადთა სიჩქარე უნდა იყოს დაახლოებით 500-2000 კილომეტრი წამში. ეს სიჩქარე 150-600-ჯერ ნაკლებია, ვიდრე რადიოტალღების გავრცელების სიჩქარე სივრცეში. შემდეგ მაგნიტური ქარიშხლის დროს კოსმოსური სხივების ინტენსივობის შემცირების ეფექტების დაკვირვების საფუძველზე ფიქრობენ, რომ კორპუსკულარულ ნაკადებს თან მოაქვთ „შეყინული" მაგნიტური ველები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უშლიან კოსმოსური ნაწილაკების მოხვედრას დედამიწაზე, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობენ მზის მცირე ენერგიის კორპუსკულების ნაკადთა ტრანსპორტირებას დედამიწაზე თავისებური „მაგნიტური მახთი".

ფიქრობენ, რომ სტაციონარული პლანეტათშორისი მაგნიტური ველი, რომლის ბუნება და კონფიგურაცია ჯერჯერობით არ არის ნათელი, უნდა იყოს დედამიწისაკენ მზის კორპუსკულარული რადიაციის ტრანსპორტირების მექანიზმის არსებითი ელემენტი. ზოგიერთი ექსპერიმენტალური მონაცემი ამ ველის შესახებ მიიღეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

ამიტომ ბუნებრივია მოველოდეთ, რომ მაგნიტური ველებისა და კორპუსკულარული რადიაციის გაზომვა დედამიწისაგან დიდ მანძილზე, შორს მისი მაგნიტური ველის გავრცელების ფარგლებს გარეთ, კოსმოსის სივრცეში შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ დედამიწაზე მზის ზემოქმედების პროცესის ჩვენთვის უცნობი მხარეები. ამას ხელს შეუწყობს ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების შექმნა. ისინი იქნებიან „სადგუ